მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურების სააგენტოსა“

და

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს“

შორის

საქართველო, ქ.თბილისი

2025 წ.

პრეამბულა

მხარეთა ძალისხმევა მოიცავს აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრები პირების შესაძლებლობების გაძლიერება ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტებში ჩართულობის გზით, კერძოდ საგანმანათლებლო პროექტების ეფექტური განხორციელების მიმართულებით.

1.ხელშემკვრელი მხარეები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურების სააგენტო“ წარმოდგენილი მისი დირექტორის, ავთანდილ ქარაიას სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი რექტორის, მაკა ბერიძის სახით შემდგომში ერთად წოდებულნი "მხარეებად".

2. თანამშრომლობის მიზნები:

წინამდებარე მემორანდუმი მოიცავს შემდეგ მიზნებს, გამოწვევებსა და თანამშრომლობის ფორმებს:

ა)ორივე მხარე თანახმაა, გაუზიაროს ურთიერთს საერთაშორისო და ადგილობრივი საერთო პროექტებიდან გამომდინარე რესურსები;

ბ)ორივე მხარე ფოკუსირებულია სხვადასხვა გაცვლით პროექტებზე, მათ შორის ისეთებზე როგორებიცაა: განათლება, სამართალი, ბიზნესი, განვითარებადი ტექნოლოგიები და სხვა;

გ)ხელმომწერი მხარეები მხარს უჭერენ ერთმანეთს, საქართველოში მოქმედი სამართლის შესაბამისად განახორციელონ პროექტების მხარდაჭერა საკუთარი რესურსებით;

დ)ხელმომწერი მხარეები მზად არიან ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის, რაც დაკავშირებულია მათ შორის არსებული პროექტების მართვასთან და განხორციელების სტრატეგიებთან.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ისახავენ შემდეგ ამოცანებს აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა:

ა) ჩართულობის გაზრდას საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში;

ბ) კომპეტენციების გაუმჯობესებას;

გ) ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებას.

თანამშრომლობის ფორმები შეიძლება იყოს:

1.კონსულტაციები ორივე მხარეს;

2.საგანმანათლებლო სფეროში ექსპერტებისა და რესურსების გაცვლა;

3.პროექტების გაცვლა.

3. მემორანდუმის ცვლილებები:

(ა) ცვლილებები ამ მემორანდუმში უნდა განხორციელდეს წერილობით და დაამტკიცდეს ორივე მხარის მიერ. სიტყვიერი დამატებითი შეთანხმებები არ მიიღება.

(ბ) წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ინახება თითოეულ მხარესთან და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

სსიპ-,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

მომსახურების სააგენტოს“ დირექტორი

ავთანდილ ქარაია

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორი

მაკა ბერიძე

ხელმოწერილია საქართველოში, ქ.თბილისში

12.06.2025